PX 4571/1.
n 11/834

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სსიპ
# საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი

www.olympiccentre.ge

სსიპ
საქართველოს ოლიმპიური
რეზერვების მზადების ეროვნული
ცენტრი

(+995 32) 2 687930

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში" 10-25 წლამდე ახალგაზრდებისთვი სგახსნილია ჭიდაობის, ძიუდოს, კრივის, მძლეოსნობის, ძალოსნობისა და ფეხბურთის უფასო სექციები.

ოლიმპიურ ცენტრში ცხოვრებს და ვარჯიშობს 120 პროფესიონალი სპორტსმენი, რომელიც მაღალი ხარისხის სამჯერადი კვებითა და საცხოვრებელი პირობებით სარგებლობს. მათ განკარგულებაშია საერთაშორისო დონის ჭიდაობისა და ძიუდოს სპორტული არენა, ძალოსნობის დარბაზი და საფეხბურთო მოედნები. „ცენტრში" ფუნქციონირებს უფასო სექციები, რომლებსაც მაღალკვალიფიციური მწვრთნელები ხელმძღვანელობენ. ამჟამად, ცენტრში სამასამდე ახალგაზრდა ვარჯიშობს.

**საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის მიზანია:**

- განსაკუთრებული სპორტული მონაცემებითა და ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა და მოზიდვა;
- სპორტის პრიორიტეტულ სახეობებში საქართველოს კადეტთა და იუნიორთა ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მომზადება;
- საქართველოს რეგიონებიდან სოციალურად დ აუცველი ნიჭიერი სპორტსმენების შერჩევა და მათი მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზით უზრუნველყოფა;
- თანამედროვე სასპორტო სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დანერგვით, მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა.

საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის დაქვემდებარებაშია წყალბურთის კლუბი "ლიგამუსი" და საკალათბურთო კლუბი „ოლიმპი", რომლებშიც პროფესიონალთა გუნდი, ასევე დუბლ-შემადგენლობისა (U-20) და 2000 წელს დაბადებულთა ასაკობრივი გუნდები ფუნქციონირებს.

ოლიმპიური ცენტრი კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფს ფალავანთა კლუბსა და ვაკეში მდებარე სამბოსა და ძიუდოს დარბაზებს. 2014 წლის იანვარში ოლიმპიურ ცენტრსა და საქართველოს ჭიდაობის, სამბოსა და ძიუდოს ფედერაციებს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმად, შესაბამის ფედერაციებს ცენტრი სრულიად უსასყიდლოდ უთმობს დარბაზებს, რათა ხელი შეუწყოს სპორტსმენების სრულყოფილ მომზადებას.

2013 წელს საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, რომლის ფარგლებში:

-კაპიტალურად შეკეთდა და გარემონტდა ჭიდაობისა და ძიუდოს სპორტული არენა და ძალოსნობის დარბაზი;

-კეთილმოეწყო და გარემონტდა საშხაპეები, გასახდელები და მწვრთნელთა სამუშაო ოთახები;

-დარბაზები აღიჭურვა გათბობის სისტემებით და სპორტული ინვენტარით;

-განახლდა ერთი ბუნებრივსაფარიანი და ორი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედანი და სპორტული შენობების ფასადი.

2014 წელს ცენტრის ბაზაზე დაგეგმილია სარემონტო სამუშაოების განახლება და კრივისა და ძიუდოს დარბაზის მშენებლობა-კეთილმოწყობა.

საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულმა ცენტრმა არსებობის მანძილზე არაერთი წარმატებული სპორტსმენი აღზარდა: მოჭიდავეები - მიხეილ სალაძე და ავთანდილ მაისურაძე, ფეხბურთელები - შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი თავაძე, გია გურული, მძლეოსანი - მაია აზარაშვილი.

2011-2014 წლებში ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით მაღალ შედეგებს მიაღწიეს შემდეგმა სპორტსმენებმა:
**დავით მარსაგიშვილი** - 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის ბინჯაოს პრიზიორი, ევროპის ორგზის (2012, 2013 წწ) და მსოფლიო ჩემპიონი (2011 წ);
**მანუჩარ ცხადაია** - 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატის ორგზის ვერცხლის პრიზიორი (2009, 2011), ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი;
**სოსო ჯაბიძე** - ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი (2012, 2013 წწ);
**გურამ ფერსელიძე** - ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი (2013 წ);
**ლუხუმ ჩხვიმიანი** - ევროპის ჩემპიონი სამბოში - ახალგაზრდებში (2013 წ), თბილისის ძიუდოს გრან პრის ბრინჯაოს მედალოსანი (2014 წ).



# კალათბურთის უფასო სექციები

2013 წლის ოქტომბრიდან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ "საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულმა ცენტრმა" ახალი პროექტის „კალათბურთის უფასო სექციები"-ს განხორციელება დაიწყო.

ოლიმპიურმა ცენტრმა საკალათბურთო კლუბ „ოლიმპთან" ერთად დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის საქართველოს ოთხ საჯარო სკოლაში კალათბურთის სწავლების უფასო სექციები დააარსა. კლუბსა და საშუალო სკოლას შორის თანამშრომლობის შესახებ მომზადებულია მემორანდუმი,რომლის თანახმად შესაბამისი სპორტული დარბაზის მქონე საჯარო სკოლაში კლუბი საკუთარი სახსრებით მიავლენს მაღალკვალიფიციურ მწვრთნელს, რომელიც სკოლის მოსწავლეებს უფასო საკალათბურთო ვარჯიშებით, ბურთებითა და სხვა საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფს.

უფასო საკალათბურთო სექციებით სარგებლობა პროექტში ჩართული სკოლის დაწყებითი კლასის ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია.

## პროექტის მიზანია:

·სკოლის მოსწავლეების სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართვა;
·დაწყებით კლასებში კალათბურთის პოპულარიზაცია;
·ახალგაზრდასპორტსმენებისმომზადება;
·ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა;

სამომავლოდ, აღნიშნული მემორანდუმის გაფორმება 10-15 საჯარო სკოლასთან იგეგმება.ამ მხრივ დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს რეგიონებს, რათა უფასო საკალათბურთო წრეები ყველა მოსწავლისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

საკალათბურთო კლუბსა და სკოლის ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკების საფუძველზე პროექტში ჩართულ სკოლებს შორის შეიქმნება „ოლიმპის" ლიგა და პერიოდულად გაიმართება ტურნირი,რომელიც საუკეთესო სპორტსმენებსა და მწვრთნელებს გამოავლენს.

## ამჟამად პროექტი შემდეგ სკოლებში ხორციელდება:

**1. ქალაქ გორის მე-3 საჯარო სკოლა**
პროექტი დაიწყო 2013 წლის 1 ოქტობერს
ვარჯიშობს 46 მოსწავლე(ორიჯგუფი)
მწვრთნელი - ზურაბ ლეკიშვილი

**2. ქალაქ თბილისის 162-ე საჯარო სკოლა**
პროექტი დაიწყო 2013 წლის 1 ოქტომბერს
ვარჯიშობს 34 მოსწავლე (ორი ჯგუფი -გოგონები და ვაჟები)
მწვრთნელი - საბა ნერგაძე

**3. ქალაქ თბილისის 181-ე საჯარო სკოლა**
პროექტი დაიწყო 2014 წლის 17 თებერვალს
ვარჯიშობს 20 მოსწავლე(ერთი ჯგუფი)
მწვრთნელი - ვაჟა ჭოტაშვილი

**4. ქალაქ თბილისის 69-ე საჯაროსკოლა**
პროექტი დაიწყო 2014 წლის 17 თებერვალს
ვარჯიშობს 20 მოსწავლე(ერთიჯგუფი)
მწვრთნელი - გურამ მეგრელიძე